

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს  
2017 წელს მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში ქართველი ხელოვანების  
მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით

**კონკურსის მიზანი**

საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ქართველი ხელოვანების მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში (ფესტივალები, გამოფენები, და სხვა საერთაშორისო პროექტები, გარდა სწავლისა) მონაწილეობის მიღების ხელშეწყობის გზით.

**კონკურსის პირობები**

- საერთაშორისო ღონისძიება უნდა იყოს ცნობილი და აღიარებული კონკრეტულ სფეროში და მასში მონაწილეობა ხელს უნდა უწყობდეს ხელოვანის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ ზრდას;
- წარმოდგენილი პროექტი უნდა ხორციელდებოდეს 2017 წლის 1 მაისიდან 1 დეკემბრის პერიოდში;
- კონკურსის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ;
- აღნიშნული კონკურსი არ ითვალისწინებს სწავლის მხარდაჭერას;
- სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ერთი პროექტისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის ფ.პ. საშემოსავლო გადასახადი), რომელიც მოიცავს მხოლოდ საერთაშორისო მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს;
- აღნიშნული კონკურსის ფარგლებში სამინისტრო არ აფინანსებს არანაირ ხარჯს გარდა საერთაშორისო მგზავრობისა და სასტუმროსი;
- განაცხადების მიღების ვადა: 2017 წლის 17 თებერვალიდან 2017 წლის 31 მარტის 17:00 საათამდე;
- კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს 5 წევრისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისაგან;

- გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება კომისიის წევრთა ერთიანი გადანყვეტილებით;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კონკურსში გამარჯვებული პროექტების წარმომადგენლებთან გააფორმებს პროექტის ხელშეწყობის ხელშეკრულებას;
- პროექტის განხორციელების შემდეგ განმახორციელებელი სამინისტროში წარმომადგენს პროექტის განხორციელების შესახებ შინაარსობრივ და ფინანსურ დამადასტურებელ დოკუმენტაციას (საბოლოო წარმოდგენილი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად);
- სამინისტრო არ ანაზღაურებს ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯს;

### **წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კანცელარიაში ან გადმოგზავნილ იქნას ელექტრონულ მისამართზე: [popularization@culture.gov.ge](mailto:popularization@culture.gov.ge) თანდართული განაცხადის ფორმით (დანართი N 1 განაცხადის ფორმა);
- განმცხადებლის ბიოგრაფია;
- მოწვევის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება ღონისძიების განხორციელების თარიღები, არსებობის შემთხვევაში მომწვევი მხარის თანამონაწილეობის სევმენტი;
- იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ავიაბილეთისა და სასტუმროს ჯავშანი (ინვოისი) ხარჯთაღრიცხვაში მითითებული თანხის შესაბამისად;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი ვიზუალური მასალისა და ლინკების (ვებ-გვერდის მისამართი/ბმული) დართვა;
- თანდაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი წერილი;

საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ:

პოპულარიზაციის სამმართველო - ტელ: 2 99 91 96;

ელ. ფოსტა: [popularization@culture.gov.ge](mailto:popularization@culture.gov.ge)

პროექტის შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართება ღია კონსულტაციები 2017 წლის 23 თებერვალს, 9 და 16 მარტს, 14:00 საათიდან - 15:00 საათამდე.